

შპს „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის
საუნივერსიტეტო კლინიკა“

31 დეკემბრით დასრულებული 2022 წლის ფინანსური
ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021	შენიშვნები
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	43 293	51 676	17 086	3.1
საეკუთრ. მოთხოვნები	284 410	230 804	67 966	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	20 682	2 594	8 238	3.3,4
მარაგები	29 143	16 750	9 983	3.6
- შპს პროდუქცია	29 143	16 750	9 983	3.6
- სხვა				
საინვესტიციო ქონება	12 353	50 386	7 577	3.5
სხვა მიმდინარე აქტივები				
ბიოლოგიური აქტივები				
- თევზჭერების მოდელით				
- ჯადაფების მოდელით				
ბუნებრივი				
სხვა არამატერიალური აქტივები	27 229	10 256	2 511	3.7
ძირითადი საშუალებები				
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები	417 110	362 466	113 361	
სულ აქტივები				
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება	413 184	350 458	323 522	3.8
საეკუთრ. ვალდებულებები				
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	79 906	64 751	32 561	3.10
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	72 099	66 226	10 262	3.12
საგადასახადო ვალდებულებები	152 329	45 306	2 843	3.9
გამოუმუშავებელი შემოსავალი	296 391	268 463	48 000	3.11
მიმდინარე სასესიო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესიო ვალდებულებები				
მიღებული გრანტები	25 740			3.13
სხვა ვალდებულებები	1 039 619	795 204	417 188	
სულ ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში "კაპიტალი", კოოპერაციის შემთხვევაში "საპაიო კაპიტალი")				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები	(622 509)	(432 738)	(303 827)	3.14
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი				
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები	(622 509)	(432 738)	(303 827)	3.14
სულ საკუთარი კაპიტალი	417 110	362 466	113 361	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				

შპს „ვენ ფოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის
საუნივერსიტეტო კლინიკის“ დირექტორი

ირაკლი ნატროშვილი




სრული შემოსავლის ანგარიშგება

	საანგარიშგებ თ პერიოდი 2022 წელი	საანგარიშგებ თ წინა პერიოდი 2021 წელი	შენიშვნები
ნეტო ამონაგები	2 936 834	2 411 595	
საქონლის გაყიდვიდან	2 936 834	2 411 595	3.15
მომსახურების გაწევიდან			3.15
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			3.15
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები	2 936 834	2 411 595	
საერთო შოგება	5 726	32 765	3.20
სხვა შემოსავალი	(2 418 536)	(1 896 940)	3.16
დასაქმებულთა ანაზღაურება	(3 076)	(1 257)	3.16
ცვლა და ამორტიზაცია	279	2 443	3.17
საპროცენტო შემოსავალი	(29 977)	(25 346)	3.18
საპროცენტო ხარჯი	(89 170)	(79 587)	3.16
იჯარის ხარჯი	(588 036)	(571 574)	3.16
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(3 121 790)	(2 539 498)	
სულ საოპერაციო ხარჯები	(184 956)	(127 901)	
საოპერაციო მოგება			
გაუფასურების (ხარჯი) / რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები	(2)	(75)	3.19
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საფასურით ოპერაციებიდან			
მიღებული დივიდენდები	(4 813)	(22)	3.20
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(189 771)	(127 998)	3.21
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(189 771)	(127 998)	
მოგების გადასახადი	(189 771)	(127 998)	3.21
მოგება / (ზარალი)			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	(189 771)	(127 998)	3.21
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(432 738)	(303 827)	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)			
ახალი აქტივების გამოშვება (მპს-ს შემთხვევაში...)			-913
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(622 509)	(432 738)	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს			

შპს „კენ ვილკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის
საუნივერსიტეტო კლინიკის“ დირექტორი

ირაკლი ნატროშვილი



2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2020 წლის 8 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404590876, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ზესიკო ქ. N 4 მიმდებარედ, სართული 2. ფაქტიური მისამართი გუდამაყრის ქ. # 4. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებლები არიან ფიზიკური პირები: საქართველოს მოქალაქეები თამარ იამანიძე (პ/ნ 01017046574) 50%-ის წილის მფლობელი, ირაკლი ნატროშვილი (პ/ნ 01030010063) 35%-იანი წილის მფლობელი და ორმაგი მოქალაქე (საქართველო, რუსეთის ფედერაცია) გიორგი გოგოჭური (პ/ნ 16001028933), 15% წილის მფლობელი.

1.3. კომპანიის ერთპიროვნული დირექტორია ირაკლი ნატროშვილი (პ/ნ 01030010063).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სპეციალიზებული სამედიცინო პრაქტიკის საქმიანობები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2022 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული

კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას

მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლევადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდასაბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში

საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო ღირებულებიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

ოფისის აღჭურვილობა - 20 %;

სარეაბილიტაციო ინვენტარი - 20 %;

სხვა ინვენტარი - 12.5 %;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15%;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა). 2022 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.702 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში		247	247
ლარი საბანკო ანგარიშებზე	43292	51371	16838
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	1	1	1
სულ:	43293	51619	17086

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	284410	230804	67966
სულ:	284410	230804	67966

2022 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო დებიტორული ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები წარმოადგენს საქართველოს ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების ასანაზღაურებელ თანხებს, რომელიც დაიფარა 2023 წელს ეტაპობრივად.

3.3. გაცემული მიმდინარე სესხები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
გაცემული სხვა მოკლევადიანი სესხები	18000		
გაცემული სესხებზე დარიცხული პროცენტები	1279		
სულ:	19279	0	0

2022 წლის ბოლოსათვის დარჩენილი დავალიანება წარმოადგენს 1 იურიდიულ პირზე გაცემული სესხის ძირს და გადასახდელ პროცენტს, რომლებიც წარმოშობილია 2022 წელს.

3.4. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1403	2594	8238
სხვა გადახდილი ავანსები			
სულ:	1403	2594	8238

31.12.2022 წ. მდგომარეობით ავანსები გადახდილია 8 რეზიდენტი მიმწოდებლისთვის.

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	10850	50386	
მოთხოვნები ანაგარიშვალდებული პირების			
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	150		7577
სხვა მიმდინარე აქტივები	1353		
სულ:	12353	50386	7577

მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ არის ავანსად გადახდილი ხელფასი, რომელიც სხვა მიმდინარე აქტივებთან ერთად დაიფარა 2023 წელს.

3.6. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მარაგები	29143	16750	9983
სულ:	29143	16750	9983

2022 წლის ბოლოს საწარმოს მარაგებს შეადგენს მცირეფასიანი სამედიცინო და საოფისე ინვენტარი.

3.7. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ოფისის აღჭურვილობა	14986	12009	-1554	4531	3823	-504	1213
სარეაბილიტაციო ინვენტარი	3811	3495	-537	854	250	-162	766
სხვა ინვენტარი	6639	4545	-607	2702	2414	-245	532
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	1792		-377	2169	2515	-346	0
სულ:	27229	20049	-3076	10256	9002	-1257	2511

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 4 461 ლარს;

2021 წლის ბოლოს - 1 385 ლარს;

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების	413184	350458	323522
სულ:	413184	350458	323522

31.12.2022 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 25 იურიდიული და 3 ფიზიკური რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე, რომელიც მიმდინარე დავალიანებებს წარმოადგენს და იფარება 2023 წლის განმავლობაში.

3.9. მიღებული ავანსები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიღებული ავანსები რეზიდენტებისაგან	152329	45306	2843
სულ:	152329	45306	2843

3.10. ვალდებულებები თანამშრომლების წინაშე:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	66754	60182	23748
სხვა ვალდებულებები (საპენსიო ფონდი)	13152	4569	8813
სულ:	79906	64751	32561

2022 წლის ბოლოსთვის თანამშრომლების მიმართ დავალიანება წარმოადგენს 2021 წლის დეკემბრის დარიცხულ ხელფასს, რომელიც დაიფარა 2023 წლის იანვარში.

3.11. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
იურიდიული პირისგან მიღებული მოკლევადიანი სესხის ძირი	240567	242617	48000
იურიდიული პირისგან მიღებული მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	55824	25846	
სულ:	296391	268463	48000

საანგარიშგებო წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება 3 იურიდიული (არასაფინანსო) პირის მიმართ დავალიანებისგან.

3.12. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	72069	66226	10262
სულ:	72069	66226	10262

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები შედგება დეკემბრის თვის გადასახდელი თანხებისგან, რომელთა დეკლარირებაც მოხდა 2023 წლის 15 იანვრისთვის.

3.13. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
სხვა ვალდებულებები დამფუძნებლის წინაშე	25740		
სულ:	25740	0	0

3.14. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
გაუნაწილებელი მოგება	-622509	-432738	-303827
სულ:	-622509	-432738	-303827

3.15. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2022 წელი	2021 წელი
სამედიცინო სარეაბილიტაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	2925410	2405490
სატრეინინგო მომსახურება	11424	6105
სულ:	2936834	2411595

2022 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა ჯანმრთელობის რეაბილიტაციის სამედიცინო მომსახურებისგან.

3.16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
საწარმოო დანიშნულების ხარჯები (ძირითადი მასალების, სახელოსნოს ხარჯი)	-39857	-32310
წამლებზე და პაციენტებზე გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯი	-45154	-68131
სხვა საოპერაციო და სარეკლამო ხარჯები	-8708	-30296
სხვა საოპერაციო და სარეკლამო ხარჯები	-50000	-850
თანამშრომელთა ტრენინგის ხარჯი	-2336336	-1870580
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-32200	-25510
გადასახადი საპენსიო ფონდში ხელფასებიდან	-3076	-1257
ცვეთა და ამორტიზაცია	-359561	-322763
იჯარის ხარჯები და კომუნალური ხარჯები	-187	-61
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-22658	-19609
საოფისე ხარჯები (ლიფტის მომსახურება, საკანცელარიო და ინვენტარი)	-33498	-65772
დაცვის, ზღის, მასეინის მოვლის ხარჯები	-65850	-10325
საკონსულტაციო ხარჯები	-50206	-50986
საკომუნიკაციო ხარჯები	-3008	3828
წარმომადგენლობითი ხარჯები	-5259	5541
საბანკო ხარჯები	-1970	-1805
მივლინების ხარჯი	-43290	-39734
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	სულ: -3098818	-2549358

3.17. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2022 წელი	2021 წელი
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)		396
საპროცენტო შემოსავლები არასაფინანსო ინსტიტუტებისაგან	1279	2047
სულ:	1279	2443

3.18. არასაოპერაციო ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
საპროცენტო ხარჯები		-413
საპროცენტო ხარჯები არასაფინანსო ინსტიტუტებიდან	-29977	-24933
სულ:	-29977	-25346

3.19. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:

	2022 წელი	2021 წელი
დადებითი საკუროს სხვაობები	1	1
უარყოფითი საკუროს სხვაობები	-3	-76
სულ:	-2	-75

3.20. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი-ხარჯი:

	2022 წელი	2021 წელი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1351	2137
ვალის პატივითი მიღებული შემოსავალი	4375	
საშემოსავლოს შეღავათიდან მიღებული შემოსავალი		30628
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-4813	-22
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	913	32743
სულ:		

3.21. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

	2022 წელი	2021 წელი
მთლიანი სრული შემოსავალი / ზარალი	-189771	-127998
სულ:	-189771	-127998

3.22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს.